გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №47
2018 წლის 14 მაისი

ქ. გორი

,,გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №34 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 20/04/2018, 010250050.35.148.016480) დამტკიცებული დანართი №2 შეიცვალოს ახალი დანართი №2-ით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №2

გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების საფასური

გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური დროის მონაკვეთის მიხედვით:
ა) 1 დღე – 1 ლარი;
ბ) 1 თვე -– 10 ლარი;
გ) 3 თვე – 15 ლარი;
დ) 6 თვე – 25 ლარი;
ე) 1 წელი – 40 ლარი.

კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის და სამსახურებრივი ტრანსპორტისთვის:
ა) 30 დღე – 10 ლარი;
ბ) 90 დღე – 20 ლარი;
დ) 180 დღე – 30 ლარი;
ე) 365 დღე – 50 ლარი.

სატვირთო ტრანსპორტი და სპეც ტექნიკა
1,5 ტ. ტვირთამწეობა და სპეც ტექნიკა:
ა) 30 დღე – 15 ლარი;
ბ) 90 დღე – 25 ლარი;
გ) 180 დღე – 40 ლარი;
დ) 365 დრე – 60 ლარი.

1,5 - 4ტ. ტვირთამწეობა და სპეცტექნიკა:
ა) 30 დღე – 20 ლარი;
ბ) 90 დღე – 30 ლარი;
გ) 180 დღე – 50 ლარი;
დ) 365 დღე – 80 ლარი.

4.ტ-ზე მეტი ტვირთამწეობა და სპეცტექნიკა:
ა) 30 დღე – 25 ლარი;
ბ) 90 დღე – 35 ლარი;
გ) 180 დღე – 60 ლარი;
დ) 365 – დღე 90 ლარი.

ტურისტული მარშრუტები:
ა) 7 ადგილამდე – 1 ლარი 1 საათი;
ბ) 16 ადგილამდე – 2 ლარი 1 საათი;
გ) 16 ადგილზე მეტ ადგილამდე – 3 ლარი 1 საათი.